

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს უკრაინის ეროვნული დღესასწაულის - დამოუკიდებლობის დღის მოსალოცი წერილი გაუგზავნა.
მილოცვაში წერია:
"უკრაინის ეროვნულ დღესასწაულთან - დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩემი გულწრფელი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეთ. დღეს მეგობარი უკრაინის სახელმწიფოებრიობის და სუვერენიტეტის გაძლიერების, სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში ღრმა ცვლილებების განხორციელებისკენ მიისწრაფის. ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟი იზრდება.
დარწმუნებული ვარ, რომ აზერბაიჯან-უკრაინის მთავრობათაშორისი ურთიერთობები, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა და მრავალმხრივი თანამშრომლობა მეგობარი ხალხების და ქვეყნების ინტერესებისთვის ამის შემდეგაც მჭიდრო ურთიერთსაქმიანობით და ურთიერთმხარდაჭერის მიმართულებით განვითარდება".
მისალოცი წერილის ბოლოს ილჰამ ალიევმა ვიქტორ ფიოდოროვიჩს გულწრფელად ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატებები, მეგობარ უკრაინელ ხალხს მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა.